

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის, ეკონომიკური საკითხებისა

და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომის

ოქმი N 5

ქ.ვანი თავისუფლების N65

10 ივნისი 2019 წელი

11 : 00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: გიგა გოგიბერიძე, მალხაზ ცერცვაძე, შოთა გიორგაძე, გია ხარაბაძე, პაატა ხურციძე, დავით ადეიშვილი, სანდრო ხურციძე, გია ჩხიკიძე,

საპატიო მიზეზის გამო სხდომას არ ესწრებოდნენ: ბიჭიკო ჰაიკიძე, დავით ხარძეიშვილი, აპოლონ რამიშვილი, ალექსანდრე ოქროპილაშვილი, რობიზონ ფუტყარაძე.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ხელმოწერების სია თან ერთვის.

/დანართი N1/

მოწვეული პირი:

სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი - **მამუკა ნამიჭეიშვილი.**

ვანის საინფორმაციო საკონსულტაციო ცენტრის წამყვანი სპეციალისტი - **გია ხარაბაძე**

კომისიის სხდომის თავმჯდომარე - **გიგა გოგიბერიძე (კომისიის თავმჯდომარე)**

კომისიის სხდომის მდივანი - საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი სპეციალისტი საოქმო წარმოების საკითხებში - **ლუბა კიკაბიძე**

დღის წესრიგი

1. ვანის მუნიციპალიტეტში 2019 წელში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გამსახორციელებელი პროექტების დამტკიცების შესახებ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 13 მარტის N27 6 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს: მამუკა ნამიჭეიშვილი

2. ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საგაზაფხულო სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის მოსმენა.

მომხს: ვანო სანადირაძე

3. ქ. ვანის ტერიტორიაზე არსებული ქუჩების სახელდების საკითხის მოწესრიგების შესახებ.

მომხს: გიგა გოგიბერიძე

გადაწყვიტეს: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს :

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა მამუკა ნამიჭეიშვილმა კომისიის წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი - ვანის მუნიციპალიტეტში 2019 წელში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გამსახორციელებელი პროექტების დამტკიცების შესახებ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 13 მარტის N27 6 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა განმარტა, რომ განკარგულების დანართში მოხდა პროექტის ცვლილება, რომელიც ითვალისწინებს ტობანიერის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფ. ზედაეწერტობანიერში უსახელო ღელეზე გაბიონის მოწყობა 10 000 ლარი შეიცვალოს და მის მის ნაცვლად განხორცილდეს: ტობანიერის ადმინისტრაციული შენობის რემონტი (გადახურვის შეცვლა) იგივე თანხით 10 000 ლარი.

მომხრე - 8

წინააღმდეგი - არცერთი

წარმოდგენილი საკითხი მზად არის საკრებულოს სხდომაზე გასატანად.

დაადგინეს:

შეტანილ იქნას ცვლილება ვანის მუნიციპალიტეტში 2019 წელში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გამსახორციელებელი პროექტების დამტკიცების შესახებ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 13 მარტის N27 6 განკარგულებაში .

/დანართი 2/

მოისმინეს :

დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა გია ხარაბაძემ კომისიის წევრებს გააცნო ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საგაზაფხულო სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაცია.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე თემების მიხედვით სახნავ- სათესი მიწის ფართობი შეადგენს სულ-4772 ჰექტარს.

2019 წლის 10 ივნისის მდგომარეობით თემების მიხედვით მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე მოხნულია სულ - 2689 ჰექტარი მიწის ფართობი, რაც საერთო სახნავი ფართობის - 56,35 % -ს შეადგენს და გასულ 2018 წელთან შედარებით 200-ჰექტარით ნაკლებია.

აღნიშნული მოხნული 2689 - ჰექტარიდან დღეის მდგომარეობით დათესილია 2118 - ჰექტარი ფართობი, რაც მთლიანი მოხნული ფართობის 78,77 %-ს შეადგენს. მთლიანი მოხნული ფართობიდან დღეის მდგომარეობით დაუთესავია 571 ჰექტარი, რაც თესვისათვის არახელსაყრელი კლიმატური პირობებით და შესაბამისი ტექნიკის არასაკმარისი რაოდენობითაა გამოწვეული.

კომისიის წევრმა მოიწონეს წარმოდგენილი საკითხი, რომელთა მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

დაადგინეს:

კომისიის წევრებმა მიიღეს ცნობის სახით მომხსენებლის მიერ წარმოდგენილი საგაზაფხულო სამუშაოების შესახებ ინფორმაცია.

მოისმინეს:

დღის წესრიგის მესამე საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქ. ვანის ტერიტორიაზე არსებული ქუჩები არის სახელდებული ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდიდან, რაც საჭიროებს გადახედვას და საჭიროების შემთხვევაში ხელახალ დამისამართებას.

კომისია გამოდის ინიციატივით ეთხოვოს საკრებულოს აღნიშნული საკითხის შესწავლა დარეგულირება.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

გიგა გოგიბერიძე

ქონების მართვის, ეკონომიკური საკითხებისა
და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე